დანართი №1

2016 წლის 19 დეკემბერს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ს და სს№87-16 ხელშეკრულებაზე (CMR 160223228)

თბილისი **02. 02. 2017წ.**

ერთი მხრივ, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობის შემსრულებლის **ალექსანდრე თევდორაძის** სახით (შემდგომში - შემსყიდველი) და მეორე მხრივ, **შპს „პლანეტა ფორტე“,** წარმოდგენილი მისი დირექტორის **აბრამ ჩანჩალაშვილის** სახით (შემდგომში - მიმწოდებელი), შემსყიდველის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის – ადმინისტრაციული სამსახურის 2017 წლის 01 თებერვლის №697-2 მოხსენებითი ბარათისა და 2016 წლის 19 დეკემბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ს და სს№87-16 ხელშეკრულების მე-10 მუხლის 10.6 პუნქტის საფუძველზე, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შევიდეს ცვლილება მხარეთა შორის 2016 წლის 19 დეკემბერს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ს და სს№87-16 ხელშეკრულების (ჟურნალ-გაზეთების შესყიდვა) (შემდგომში - ხელშეკრულება):

ა) მე-4 მუხლის 4.3 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„4.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული საქონლის შემოწმებასა და მიღება-ჩაბარებას ახორციელებს შემსყიდველის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის - ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი ან/და ამავე სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსი“.

ბ) მე-8 მუხლის 8.1 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„8.1 ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების ინსპექტირებას შესაბამის ადგილზე ახდენს შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის - ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი ან/და ამავე სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსი“.

2. ამ დანართის პირველ პუნქტში განსაზღვრული ცვლილებები იგულისხმება ხელშეკრულების ყველა იმ ნაწილში, სადაც მითითებულია შემსყიდველის ინსპექტირების განმახორციელებელი და მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ქვედანაყოფი.

3. დანართი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს ხელშეკრულების მოქმედების ვადით.

4. ეს დანართი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და განიხილება მის სხვა პირობებთან ერთად. ხელშეკრულების ყველა სხვა მუხლი და პირობა რჩება უცვლელი.

5. დანართი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, თითოეული მხარისათვის.

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
თავმჯდომარის მოადგილის	**შპს „პლანეტა ფორტე“**
მოვალეობის შემსრულებელი	**დირექტორი**
ალექსანდრე თევდორაძე	**აბრამ ჩანჩალაშვილი**